გადაწყვეტილება

N გ-22-19/405
22/09/2022

405-გ-22-1-4-202209221712

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2022 წლის 3 თებერვლის № გ-22-7/34 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში „კომისია“) აღნიშნავს, რომ შპს „ავიაკომპანია ჯეო სქაიმ“ (რეგისტრირებული სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2017 წლის 20 იანვარს; ს.კ. № 406198485) კომისიას მიმართა განცხადებით (კომისიაში რეგისტრაციის შ-22-6/3249, 26.08.22) მეტრულ ტალღათა დიაპაზონში საჰაერო ხომალდებთან რადიოკავშირისთვის მინიჭებული ერთი სიხშირის მოქმედების გეოგრაფიული ზონის (დამატებით ქ. თელავი) გაზრდის თაობაზე.

კომისია აღნიშნავს, რომ კომისიის 2022 წლის 3 თებერვლის № გ-22-7/34 გადაწყვეტილებით შპს „ავიაკომპანია ჯეო სქაის“ მიეცა რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის № F **2675** უფლება და მიენიჭა სიხშირე **131.775** მჰც ქ. თბილისში (გეოგრაფიული კოორდინატები: 41.673273786N; 44.959417190E), ერთი წლის ვადით - 2022 წლის 3 თებერვლიდან 2023 წლის 3 თებერვლამდე.

კომისია ასევე აღნიშნავს, რომ განიხილა ზემოაღნიშნული საკითხი და შესაძლებლად მიაჩნია შპს „ავიაკომპანია ჯეო სქაისთვის“ **131.775** მჰც (25 კჰც ზოლის სიგანით) სიხშირით სარგებლობა დამატებით გავრცელდეს ქ. თელავში (განსაზღვრული გეოგრაფიული კოორდინატები: 41"57'33"N; 45"31'40"E) (სპექტრის და ტექნოლოგიის დეპარტამენტის სამსახურებრივი დასკვნა № 22-10-1556, 05.09.22).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, კომისიამ კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვიტა:

1. შევიდეს ცვლილება კომისიის 2022 წლის 3 თებერვლის № გ-22-7/34 გადაწყვეტილებაში და მისი პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მიენიჭოს შპს „ავიაკომპანია ჯეო სქაის“ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლება № F **2675** ქვემოთ განსაზღვრული პირობების და ტექნიკური პარამეტრების შესაბამისად:

• სიხშირე - **131.775** მჰც (25 კჰც ზოლის სიგანით);

• გადამცემის (Icom A120) განლაგება: **ქ. თბილისი** (გეოგრაფიული კოორდინატები: 41.673273786N; 44.959417190E); **ქ. თელავი** (გეოგრაფიული კოორდინატები: 41"57'33"N; 45"31'40"E);

• გადამცემის გასხივების მაქსიმალური სიმძლავრე 9 ვატი;

ერთი წლის ვადით - 2022 წლის 3 თებერვლიდან 2023 წლის 3 თებერვლამდე, ოპერატიული რადიოკავშირისთვის, არაავტორიზებადი საქმიანობისთვის, დამხმარე ტექნოლოგიური დანიშნულებით;“

2. დაევალოს კომისიის ადმინისტრაციას გადაწყვეტილების შპს „ავიაკომპანია ჯეო სქაისთვის“ გაგზავნა და კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.comcom.ge) გამოქვეყნება;

3. დაევალოს შპს „ავიაკომპანია ჯეო სქაის“ გადაწყვეტილების მიღებიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში, უზრუნველყოს კომისიის რადიოელექტრონული მოწყობილობების რეესტრში, ამავე რეესტრით გათვალისწინებული ინფორმაციის ელექტრონული წესით ასახვა (ვებ მისამართი: http://reestri.comcom.ge/); რადიოელექტრონული მოწყობილობების რეესტრით გათვალისწინებული პარამეტრების ცვლილება რეესტრში ასახულ იქნას ცვლილების განხორციელებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში;

4. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე;

5. დაევალოს კომისიის აპარატის სპექტრის და ტექნოლოგიის დეპარტამენტს (ა. ქარუმიძე) და სამართლებრივი დეპარტამენტის ავტორიზაციის და ლიცენზირების ჯგუფს (ქ. სულიაშვილი) შპს „ავიაკომპანია ჯეო სქაისთვის“ მინიჭებული სიხშირის კომისიის უწყებრივ რეესტრში აღრიცხვა;

6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი № 64) შპს „ავიაკომპანია ჯეო სქაისთვის“ ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში;

7. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის სპექტრის და ტექნოლოგიის დეპარტამენტს (ა. ქარუმიძე) და სამართლებრივი დეპარტამენტის ავტორიზაციის და ლიცენზირების ჯგუფს (მ. ქადეიშვილი).

ვახტანგ აბაშიძე

თავმჯდომარე - მ.შ.

ეკატერინე იმედაძე

წევრი

ნათია კუკულაძე

წევრი